ნასყიდობის ხელშეკრულება № 10

ქ. თბილისი 20.01.2020

ხელშეკრულების მხარეებმა, ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ქლინ""-მა (შემდგომში გამყიდველი), მისი დირექტორის ***ლია ბოჭორიშვილის*** *სახით და მეორეს მხრივ* ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი.ს/კ 241499552 *(შემდგომში მყიდველი), მისი დირექტორი ქეთევან გელაშვილისსახით, შევთანხმდით რა ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, დავდეთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება:*

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მყიდველი უკვეთავს, ხოლო გამყიდველი გადასცემს შეკვეთილსადეზინფექციო ხსნარებს . CPV 33700000

2. გადახდის პირობები და წესი

2.1 მყიდველს შეუძლია შეკვეთის სრული ღირებულება გადაიხადოს მთლიანად ან ეტაპობრივად; ხელშეკრულების ღირებულებაა 1188 ლარი

2.2 მყიდველი ვალდებულია თვის განმავლობაში შეძენილი პროდუქციის საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

2.3 გადახდა წარმოებს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

3.1 <u>გამყიდველისუფლება-მოვალეობანია</u>:

ა) მიაწოდოს მყიდველს პროდუქციის უნაკლო და ვარგის მდგომარეობაში, ყველა საჭირო დოკუმენტაციისა და სერთიფიკატების თანხლებით;

ბ) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ იგი გამოწვეულია მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით;

გ) მოსთხოვოს მყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3.2 <u>მყიდველისუფლება-მოვალეობანია</u>:

ა) მოსთხოვოს გამყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

ბ) მოითხოვოს ზიანისანაზღაურება, რომელიც გამყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობითაა გამოწვეული;

4. მხარეთაპასუხისმგებლობა

4.1 მხარეებივალდებულებასკისრულობენაუნაზღაურონმხარესისზიანი, რაცწარმოიშვახელშეკრულებისშეუსრულებლობისანარაჯეროვანიშესრულებისშემთხვევაში. ზიანისოდენობასმხარეებიდაადგენენმოლაპარაკებისსაფუძველზე, ხოლოთუმოლაპარაკებისშედეგადმხარეებივერშეთანხმდნენ,საქმესერთ-ერთიმხარისგანცხადებისსაფუძველზეგანიხილავსსასამართლო.

4.2 ზიანისანაზღაურებაარათავისუფლებსმხარეებს ამ ხელშეკრულებითნაკისრივალდებულებებისშესრულებისაგან.

5. ფორსმაჟორი

5.1 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რის გამოც შეუძლებელი გახდება მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მათ უნდა აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ და უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

6. საერთო პირობები

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 (ერთი) წელი. თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ განაგრძობენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ხელშეკრულება ავტომატურად ითვლება ერთი წლით გაგრძელებულად;

6.2 ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია ერთ-ერთ მხარეს, თუ მეორე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

6.3 ვადაზე ადრე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნითაც, გარკვეული ობიექტური მიზეზების არსებობის გამო. ამ შემთხვევაში მხარეები მოილაპარაკებენ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზარალის ან გაწეული მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების შესახებ.

6.4 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად ისინი მიმართავენ სასამართლოს.

6.5 რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისადმი ყველა სახის შეტყობინება და გაფრთხილება უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით.

6.6 მხარეთა ურთიერთობანი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ერთი ეგზემპლარი ინახება მყიდველთან, ხოლო მეორე – გამყიდველთან.

6.8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი წლით და გრძელდება იმ შე,მთხვევაში თუ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ არა აქვთ პრეტენზიები.

მყიდველი

ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი.

ს/კ 241499552

მისამართი: დაბა სტეფანწმინდა.ალ.ყაზბეგის 51.საბავშვო ბაღის შენობა.
ტელეფონი: 599 95 90 03

დირექტორი ---------------

•(•)•• ••••••••
••••••••••••••••
••••••••••
•••••••••••••••
•••••• / Municipality of kazbegi Center of preschool institutions

Digitally signed by •(•)•• •••••••• •••••••••••••••• •••••••••• ••••••••••••••• •••••• / Municipality of kazbegi Center of preschool institutions
Date: 2020.01.20 14:47:13 +04'00'

გამყიდველი

შპს ,,ქლინი''
ს.კ. 405014746
მისამართი: მიცკევიჩის 27 გ
მიმსახურე ბანკი: თი ბი სი ბანკი
ანგარიში: GE75TB7677136080100003

დირექტორი:------------------------